ვებგვერდზე - https://www.ufc.ge/doc განთავსებულ სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის საგადახდო სისტემაში რეგისტრაციის, სისტემაზე წვდომისა და მონაწილეობის ძირითად პირობებში **(„ძირითადი პირობები“)** შედის შემდეგი ცვლილება/დამატებები:

1. შეიცვალოს **ძირითადი პირობების** შესავალი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის“ საგადახდო სისტემაში რეგისტრაციის, სისტემაზე წვდომისა და მონაწილეობის ძირითადი პირობები (შემდგომში - „ძირითადი პირობები“).“

2. **ძირითად პირობებს** დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.1.23 პუნქტი:
   „1.1.23. **UFC PaymentHub** – სისტემის ოპერატორის მიერ შეთავაზებული ტექნოლოგიური პლატფორმა, რომელიც მომხმარებლებს უზრუნველყოფს ერთიანი ინტეგრაციის წერტილით, რომლის მეშვეობითაც მათ შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ გარე გადახდის ეკოსისტემების, ფინანსური ინსტიტუტების, გადახდის ქსელების, საბარათე სქემების, ტექნოლოგიური პლატფორმებისა და სხვა მესამე მხარის მომსახურების პროვაიდერების მიერ შეთავაზებული შესაბამისი სერვისებით. UFC PaymentHub უზრუნველყოფს აღნიშნულ სერვისებთან დაკავშირებას, მონაცემთა და/ან შეტყობინებების ტრანსფორმაციას, მარშრუტიზაციას, ორკესტრაციას, უსაფრთხოების მექანიზმების განხორციელებას, მონიტორინგს, აგრეთვე მოთხოვნებისა და პასუხების გაცვლის, დამუშავებისა და მართვის პროცესს ერთიანი ინტეგრაციის ინტერფეისის მეშვეობით“.

3. შეიცვალოს **ძირითადი პირობების** 2.2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „2.2. სისტემის ოპერატორი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, შესაბამისი საერთაშორისო საბარათე სქემების/საგადახდო სისტემების წესებისა და PCI-ის (Payment Card Industry) მონაცემთა უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად.“

4. შეიცვალოს ძირითადი პირობების 6.2.16 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით. ამასთანავე, 6.2.16 პუნქტის მოქმედი რედაქცია გადატანილ იქნეს 6.1.6 პუნქტად:

   „6.1.6. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ურთიერთთანამშრომლობა სისტემის მონაწილისათვის წარმოადგენს აუთსორსინგულ მომსახურებას, სისტემის მონაწილე უფლებამოსილია მიაწოდოს საქართველოს ეროვნულ ბანკს, როგორც კომერციული ბანკების საზედამხედველო ორგანოს, სისტემის ოპერატორთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.“
   „6.2.16. სრულად დაიცვას შესაბამისი საერთაშორისო საბარათე სქემებისა და/ან საგადახდო სისტემების ის წესები, მოთხოვნები, სტანდარტები და პირობები, რომლებიც ვრცელდება სისტემის მონაწილეზე მისი საქმიანობის, სტატუსის, როლისა და გამოყენებული მომსახურებების გათვალისწინებით.“

5. შეიცვალოს 7.2.9 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „7.2.9. დაიცვას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნები, აგრეთვე იმ საერთაშორისო საბარათე სქემებისა და საგადახდო სისტემების (მათ შორის, Visa, MasterCard, UPI და სხვ.) წესები, მოთხოვნები, სტანდარტები და პირობები, რომლებიც ვრცელდება მასზე, მისი როლისა და ფუნქციების გათვალისწინებით. ამასთან, აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ იმ პროცესებსა და საქმიანობაზე, რომლებიც იმყოფება სისტემის ოპერატორის უშუალო კონტროლსა და პასუხისმგებლობის ფარგლებში და არ მოიცავს სისტემის მონაწილის მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს ან იმ მოთხოვნების დაცვას, რომლებიც მოქმედი წესების შესაბამისად დაკისრებულია სისტემის მონაწილეზე.“

6. წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ცვლილებები და დამატებები ძალაშია **2027 წლის 1-ლი იანვრიდან.**

eSigned by:
ალექსანდრე ქეთიშვილი: 5f0400ef-70d8-4fac-....
ალექსანდრე ქეთიშვილი
Certified by Signify